# რემედას



აჯანყებული ბესარაბიელი გლეხები რუმინელების სასამართლოს წინაშე

თებერვალი
1929

ორგანო
რემედასის საქ. ცენტრ. და ტფ. კომიტეტებისა
ტფილისი

№ 2

# თვიდან-თვემდე

## იტალია

დეკემბრის 16, რომის განსაკუთრებულ ტრიბუნალში მოსმენილ იქნა რვა მუშის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ კომპარტიის წევრობა. ბრალდებულ კოდოპინეცს მიესაჯა 12 წ. ციხე, გადისა და ვაცოვაცსს— ათ-ათი წელი თითეულს, ბუჩანიჩს— 6 წ. და 3 თვე; კორელის, იურენსა და ბერეტიჩს ორ-ორი წელი თითეულს. ამ ვადის დასრულების შემდეგ ყველა მათგანს მოელის სამ-სამი წლის ვადით კუნძულებზე გადასახლება.

### კომკავშირელების გასამართლება

დეკემბრის 14, რომის განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა, სპეციელ 6 კომკავშირელს, კომკავშირულ ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის მიუსაჯა ხანგრძლივი ვადით საკატორღო მუშაობა. ერთ-ერთ ბრალდებულს გასპარ დენტიჩეს მიესაჯა 4 წ. კატორღა, რომელმაც განაჩენის გამოცხადების დროს განცვიფრებით წამოიძახა: **„გაუმარჯოს კომუნიზმსო“!** პროკურორის მოთხოვნით, სასამართლომ იქვე, რამდენიმე წუთით შესვენების შემდეგ დენტიჩეს დაუმატა კიდევ 3 წ.

## ლიტვა

ლიტვის ხელისუფლების მიერ გამოცემულია ბრძანება, რომელიც თვალსაჩინოთ განსაზღვრავს ახალგაზრდობის მონაწილეობას, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ და სპორტიული საზოგადოებებში. ამ ბრძანების თანახმად ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მიღება ამ ორგანიზაციებში სწარმოებს მხოლოდ მშობლების, ან სკოლის მასწავლებლის წერილობითი ნებართვით.



ახლო წარსულში ნიკარაგუას აჯანყებულთა მეთაურმა—სანდინომ ხელთ ჩაიგდო ამერიკის დროშა, რომელიც მან გადასცა: „ხელები შორს ნიკარაგუასაგან“-ის კომიტეტს.



ახლო წარსულში სამხრეთ-უელსში ინგლისში უმუშევარ მემაღაროებმა ჩამოაყალიბეს ჯგუფი „საბჭოთა ლეველი“-ს სახელწოდებით. სურათზე კოლექტივის წევრი-მუშები.

## ჩ. ა. შ. შტატები

### ძლიერი ანტიფაშისტური დემონსტრაცია.

იანვრის 2, ნიუ-იორკის კომპარტიამ, რემედასმა და ანტიფაშისტურმა ლიგამ მოაწყვეს უძლიერესი ანტიფაშისტური დემონსტრაცია და მიტინგი, ნიუ-იორკში ერთ-ერთ, იტალიელ ჯალათის, გენერალ იტალო ბალბოს ჩამოსვლის საპროტესტოდ. პოლიციელებისა და სამხედრო, შეიარაღებული ბანდების საშუალებით მოუხვდა თავდაცვის წარმოება ბალბოს. დემონსტრატებმა წამოისროლეს შემდეგი ლოზუნგები: „ძირს იმპერიალიზმი და ფაშიზმი!.. ჩვენ მოვითხოვთ ფაშიზმის მსხვერპლის—გრამშისა და ტერაჩინის განთავისუფლებას, ჩვენ ვთხოულობთ ფაშისტების ციხე სიმაგრეებში ათი-ათასობით ჩაყრილ ტყვე-რევოლიუციონერების განთავისუფლებას. ამერიკის მუშები მხურვალე თანაგრძნობას უცხადებენ იტალიელ ამხანაგებს“!..

## კანადა

### „მეფის შეურაცხყოფისათვის“

ფინეთის ემიგრანტ მუშების გაზეთ „კაპაუს“-ის რედაქტორი არვო ვაარო საბურის სასამართლომ (ონტარიბის პროვინციაშია) დააჯარიმა 8000 დოლარით, იმ წერილის მითვისების გამო, რომელიც შეურაცყოფას აყენებს ინგლისის დიდ მეფეს. ვინაიდან ვაარომ ვეღარ შესძლო ჯარიმის გადახდა ის დააპატიმრეს.

## ლატვია

### რეპრესიები მემარცხენე მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ

სეიმის მუშურ-გლეხურ ფრაქციის ორგანო „დარბს უნ მაიზე“ აღნიშნავს, რომ მემარცხენე მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ შეტევა ძლიერდებაო. უკანასკნელი დღეების განმავლობაში რიგაში დაპატიმრებულია 160 კაცი ერთ-ერთი მუშათა კლუბი გასჩხრიკეს კიდეც. პოლიციამ კონფისკაცია გაუკეთა პიონერთა კედლის გაზეთსა და კინო ლენტებს. იქვე დააპატიმრეს რამოდენიმე კაცი. დაპატიმრებებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ლიბავაში, დვინსკსა და სხვ. მრავალ ადგილებში.



იაველი კომუნისტები გადასახლებაში—კონცენტრაციულ ბანაკის — ბოვენ-დიგულის წინ—ახალ გვინეაში.

363 (ლ) (05)
h43.
642.

წელიწადი მეხუთე

№ 2
თებერვალი
1929

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# რემედას

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.
ტელ. 17 42.

ტფილისი

## რვა წლის თავზე

საქართველოს მშრომელთ, მუშებს და გლეხებს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამ 8 წლის განმავლობაში, რომ დიდი მიღწევები აქვთ ყოველ დარგში, ამაზე აშკარად ლაპარაკობენ: ზაჰესი, რიონჰესი, ტირიფონის ველი, ქუთაისის, ტფილისის, ოზურგეთის, თელავის და სხვა ქალაქების ელსადგურები. მაუდის და აბრეშუმის ძაფის სადებავი ფაბრიკა-ქარხნები, გზები, ხიდეები და სკოლები. ჯანმრთელობის, წყალსადენების, ტრამვაის ქსელების გაფართოება, საბინაო აღმშენებლობა, ახალი ქუჩების გაყვანა მათი მოკირწყვლა, განსაკუთრებით განაპირა უბნებში და სხვ.

შეუძლებელია პატარა წერილში ავღვნუსხოთ ყველაფერი ის, რისი გაკეთებაც შესძლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ამ 8 წლის განმავლობაში. ამას თვით ჩვენი კლასობრივი მტრებიც კი ვერ მალავენ და სწორეთ ამიტომ არიან გააფთრებულნი ცდილობენ როგორმე ომი მოგვახვიონ თავზე, მაგრამ ჩვენი წითელი დიპლომატია, ლენინის პარტიის (ბ) ხელმძღვანელობით აქაც ამარცხებს ჩვენს მტრებს და მთელი ქვეყნის მშრომელი მასებისათვის ნათელს ყოფს, რომ ჩვენ არავის არ ვესხმით თავს.

დღითი-დღე იზრდება მთელი მსოფლიოს მუშების და მშრომელების თვალში სიმპატია საბჭოთა კავშირის მიმართ. დღეს, საბჭოთა საქართველოს 8 წლის თავზე, ჩვენ მიზნათ ვისახავთ: უკვე მტკიცე საფუძველზე დაწყებული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გაგრძელებას, წარმოების გაუმჯობესებას, ნაწარმოების გაიაფებას, სასოფლო მეურნეობის გადახალისებას სოციალისტურ ნიადაგზე, ნათესების გაფართოებას, მოსავლის გადიდებას, სარწყავი არხების ქსელის გაფართოებას და სხვ.

დღეს, 25 თებერვალს ზეიმობს საქართველოს მშრომელი მასსა იმისთვის, რომ ამ 8 წლის წინად ბოლო მოეღო საქართველოში სოციალ გამცემლების ბატონობას, მენშევიკების მუხანათობას. საქართველო გეოგრაფიული ხიდია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. სწორეთ ამიტომ უნდოდათ მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს გამოეყენებიათ საქართველო რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მენშევიკების 3 წლის განმაყლობაში ბატონობა საქართველოში იყო შინაური ამბოხების და საგარეო ომების წლები.

არ ყოფილა არც ერთი წელი საქართველოს ყველა კუთხეებში, რომ არ ყოფილიყოს აჯანყება-გამოსვლები მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ.

დღევანდელ დღეს. 1921 წ. 25 თებერვალ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა დასცეს ჟორდანიაშვილის მთავრობა. მენშევიკები სამარცხვინოთ გაიქცენ საქართველოდან და გაიტაცეს ხალხის ქონება.

მას აქეთ საქართველოს მუშებმა და მშრომელმა გლეხობამ, კომპარტიის ხელმძღვანელობით, აღადგინა დანგრეული ქვეყანა, შეუდგა სოციალისტური აღმშენებლობას და ახალი ქვეყნის შექმნას.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ლენინის საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ვანო სტურუა.

---

**მუშებო, გლეხებო, წითელ-არმიელებო და მშრომელო ქალებო! საქართველოს გასაბჭოების მერვე წლის თავზე განამტკიცეთ რემედასის ორგანიზაციები!**

**რემედასი მშრომელთა პოლიტიკურად და ინტერნაციონალურად აღზრდის სკოლაა—გააძლიერეთ მისი რიგები!**

# საქართველოს გასაბჭოების რვა წლის თავი

რვა წლის ასაკის მოწაფეებმაც-კი იცის ეხლა საბჭოთა ხელისუფლების დიადი მნიშვნელობა მუშათა და გლეხთათვის. ამიტომაც არის, რომ ამ ასაკის მოწაფეების დიდი უმრავლესობა, პიონერების სახით მკვირცხ-



გერმანელ პოლიტ-პატიმართა მიერ საპატიმროში გაკეთებული სათამაშოები

ლად უპასუხებენ მისალმებაზე: „მუშათა კლასის საქმისათვის საბრძოლველად—იყავით მზათ"—„მ ზ ა თ ვ ა რ თ". ისინი—კი, რომლებიც საქართველოს გასაბჭოებისას რვა წლის ასაკში იყვნენ, ეხლა კომკავშირელების რიგებში ჩამწკრივებული მზად არიან დაიცვან საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ზედმეტია ლაპარაკი, თვით მუშებსა და გლეხებზე, რომლებიც, მიუხედავათ მრავალი ნაკლისა და დაბრკოლებებისა, მაინც არაჲითარ სხვა წესწყობილებას არ ამჯობინებენ საბჭოებს და არავის არ აძლევენ ნებას ხელები წამოუპოტინონ სავნებლად საბჭოთა ხელისუფლებას. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავისი არსებობით წარმოადგენს მუშების და გლეხების დამცველ ხელისუფლებას, რომელიც ყოველივე ზომებს ღებულობს, რათა გააუმჯობესოს მათი ეკონომიური და კულტურული ცხოვრება, მოამზადოს ახალი, საუკეთესო პირები ახალი თაობისათვის.

არის მხოლოდ ერთი ჯურის ხალხი, რომელსაც ვერ მოუნელებია საბჭოთა ხელისუფლების, მუშურ-გლეხურ წესწყობილების არსებობა. ეს არის ჩაგვრის, მტაცებლობის და მუქთახორული ცხოვრებას მიჩვეული თავად აზნაურობა, ვაჭარ-სპეკულიანტები, სოფლის ბობოლა-მევახშეები, სასულიერო წოდება, საერთოდ ხალხის სისხლისა და ოფლის მწოველი ელემენტები. მაგრამ ჩვენში მათ ხელები მოკლე აქვთ და არ შეუძლიათ დაიბრუნონ წარსული დრო. ისინი მხოლოდ კბილების ღრჭენაში იკავებენ ბოღმას. და თუ ვინმე მათგანი გაბედავს მავნებელ მოქმედებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ,—მათთვის არსებობს გამასწორებელი სახლები და ახალშენები. როდესაც აქ მოხვდებიან ისინი, საბჭოთა ხელისუფლება ბევრს არაფერს თხოულობს მათგან: მხოლოდ გასწორებას.

სულ ადვილი საქმეა ეს: აღიარონ თავისი თავი მშრომელ ხალხის თანაბრად, მოჰკიდონ ხელი პატიოსან შრომას ისე, როგორც მუშა და გლეხი ეწევა მას. დაანებონ თავი მუქთახორობას, სხვისი ოფლით და შრომით მონაგარის მითვისებას. მაშინ თავისთავად მოისპობა მათთვის არსებული სახლები და ახალშენები. ასე ადვილათ გადაწყდება საკითხი ჩვენში—საბჭოთა რესპუბლიკაში.

სულ სხვაგვარად არის მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში იქ, ძალა-უფლება სწორეთ ამ მუქთახორების, მუშების და გლეხების ექსპლოატატორების ხელშია. იქ სადაც ამ უკანასკნელთა ხელისუფლება ბრძანებლობს, ციხესაკნები, კატორღა სახრჩობელები არსებობენ სწორეთ მათთვის, ვისაც სურს გაინთავისუფლოს თავი მონობის უღელიდან, მოიპოვოს თანასწორობა და ადამიანური უფლებები. მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლი გმირები ათი ათასობით გამომწყვდეულნი არიან ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხე საკნებში, ისინი იტანჯებიან კატორღებში და და ამ გადასახლებაშიაც შეურიგებლად ებრძვიან თავიანთ მჩაგვრელებს.

ბურჟუაზია თავის საპყრობილეებში გამომწყვდეული პატიმრებისაგან სრულიად არ მოითხოვს გამოსწორებას, პირიქით მის ციხე-კატორღებში შემოღებულია ისეთი მეთოდები, რომელიც პატიმარს ხდის ყოველგვარ ადამიანურ ელემენტალურ უფლებებს და აბეჩავებს მას. ვინც უსიტყვოდ არ დაემორჩილება შექმნილ პირობებს, მას ფიზიკურათაც ანადგურებენ ბურჟუაზიის ერთგული ჯალათები. ასეთია ბურჟუაზიის მიერ შექმნილი კლასობრივი იუსტიცია და თეთრი ტერორის „მართლმსაჯულება", რომლითაც ის ლამობს რევოლიუციონურ მუშათა კლასის მოძრაობის გათელვას და თავისი არსებობის გახანგრძლივებას.



წითელ ფრონტელებს მიაქვთ ბერლინში ფაშისტებსა და წითელ ფრონტელებს შორის მომხვდარ შეტაკების დროს მოკლული ამხანაგის კუბო. დაკრძალვას თან მოჰყვა უდიდესი დემონსტრაცია ფაშისტების წინააღმდეგ.

თუ ჩვენს გამასწორებელ სახლებსა და ახალშენებში მცხოვრებთათვის სულ ადვილი საქმეა ამოგვიდგენ გვერდში და ჩვენთან ერთად ჩაებან ახალი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში,—შეუძლებელი საქმეა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხესაკნების და კატორღა-



ხეტა-შენის ქუჩაზე (ჩინეთი) გამვლელები კითხულობენ განცხადებას ს. ს. რ. კავშირის წარმომადგენლობაზე თავდასხმის შესახებ.

ში მოქცეულები გვერდში ამოუდგენ ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, თავად-აზნაურობას, სასულიერო წოდებას და სხვა სისხლის მწოველ მუქთახორებს. ძალიანიც რომ სურდეთ, ვინ ამოიყენებს მათ გვერდში.—მხოლოდ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლით უნდა გადაწყდეს დავა ამ ორ-შეურიგებელ ბანაკთა შორის.

დღეს როცა ჩვენ ვზეიმობთ საქართველოს მუშათა კლასის და გლეხობის განთავისუფლების **8 წლის თავს,** უნდა გვახსოვდეს ბურჟუაზიულ ქვეყნების წინააღმდეგ მებრძოლთა რიგები რომელთაც არ აქვთ საშუალება ჩვენებრ იზეიმონ თავიანთი განთავისუფლების დღე.

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებული მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ჯამს უკეთებს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის რვა წლის განმავლობაში თავისი მიღწევებს სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობისა და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, ის მოიგონებს, როგორც ოქტომბრის დიადი რევოლიუციისათვის დაღუპულ გმირებს, ისე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბურჟუაზიულ, თუ კოლონიალურ ქვეყნებში წარმოებულ კლასთა ბრძოლის მსხვერპლთა, მათ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახის წევრებს და იმ პატიმარ-რევოლიუციონერებს, რომლებიც გამოკეტილნი არიან ციხე ჯურღმულებში და მოკლებულნი — აქტიურ ბრძოლის წარმოების საშუალებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძლევამოსილება, მისი ზრდა და განვითარება ლახვარს სცემს ბურჟუაზიას, მის ერთგულ დამცველ ჯალათებს, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ბელადებს, რომლებმაც დიდი ხანია რაც ბურჟუაზიას მიჰყიდეს მუშათა კლასის საარსებო ინტერესები. ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლიუციიდან დღემდე მთელი დედამიწის ზურგზე ვითარდება და მტკიცდება კომუნისტური პარტია, მეტყველებს იმის შესახებ, რომ ყვითელმა, მეორე ინტერნაციონალმა სრულიად დაჰკარგა ყოველგვარი გავლენა მუშათა კლასზე.

საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასი ხელს უწყობს, როგორც მსოფიოში პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკათა კავშირის შინაურ და გარეშე მდგომარეობის განმტკიცებას, ისე საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის მოახლოებას. ის ამავე დროს ყველგან აყალიბებს საერთაშორისო მუშათა კლასის ერთსულოვნების გამომსახველ ორგანიზაციას-რემედასს, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა ს. ს. რ. კავშირის განთავისუფლებულმა მუშათა კლასმა. ის აძლიერებს ამ საერთაშორისო რევოლიუციის წითელ ზურგს და შორს არ არის ის დრო, როცა კომუნისტური პარტიისა და რემედასის დროშის ქვეშ დარაზმული საერთაშორისო პროლეტარიატი საბოლოოდ დაასამარებს კაპიტალის არსებობას.

**ს. თ—ია.**



ნიკარაგუაში გაფიცულთა წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკელი ჯარის ნაწილები.

**რემედასის ორგანიზაციებმა და უჯრედებმა ადგილებზე უნდა გააცხოველონ კომიტეტებისა და ბიუროების გადარჩევების მოსამზადებელი წინასწარი მუშაობა!**

# წითელი ჯარი და რემედასი

დღეს ჩვენ ვზეიმობთ სახელოვანი წითელი ჯარის არსებობის 11 წლის თავს. წითელი ჯარის გმირული ბრძოლის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა ქვეყნის ბედთაან, მის მიღწევებთან სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგში. წითელმა ჯარმა ღირსეულად შეასრულა მაზე დაკისრებული მოვალეობა.



**ჰანრი ბარბიუსი**

თეთრი ტერორის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე. მისი საქართველოში მეორედ ჩამოსვლის გამო.

დღევანდლამდე წითელი ჯარი პირნათლად ასრულებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დამცველის როლს. მუშათა კლასის და მშრომელი გლეხების გამოძახილზე წითელი ჯარი ყოველთვის მზად არის, რათა უკუ აქციოს მსოფლიო იმპერიალისტების თავდასხმა, რომლისთვისაც გაფაციცებით ემზადება მთელი ქვეყნის ბურჟუაზია.

მაგრამ მარტო ამაში არ გამოიხატება წითელი ჯარის დანიშნულება და ამოცანები. საქმე იმაშია, რომ სამხედრო ამოცანების შესრულებასთან ერთად, წითელი ჯარი ატარებდა და დღესაც ატარებს ჩვენი ქვეყნის უდიდეს საზოგადოებრივ და აღმშენებლობით მუშაობას. წითელი ჯარი თვითეულ მეომრისათვის იყო და წარმოადგენს პოლიტიკურად და კულტურულად აღზრდის სკოლას, რომელიც ჰქმნის მასში მტკიცე რევოლიუციონურ შეგნებას სოციალისტური სახელმწიფოს ასაღორძინებლად. ამასთანავე ერთად წითელი ჯარი უნერგავს თვითეულ მეომარს ინტერნაციონალურ ერთსულოვნების გრძნობას, წითელი ჯარი არასოდეს არ ანცალკევებდა თავის უშუალო ამოცანებს მსოფლიო რევოლიუციის მიზნებისა და კლასობრივ ბრძოლის ამოცანებისაგან მთელ მსოფლიოში.

მსოფლიო რევოლიუციისა და შრომის გამარჯვების დროშის ქვეშ წითელი ჯარი მიდიოდა საბრძოლველად ჩაგრულთა და დამონავებულთა გასანთავისუფლებლად, ამისათვის სამართლიანად უნდა ჩაითვალოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის—რემედასის იდეის საკითხების დაკავშირება იმ ფრიად დიდ-მნიშვნელოვან მუშაობასთან, რომელიც სწარმოებს ჯარის რიგებში, მეომართა პოლიტიკურად და კულტურულად აღზრდის დარგში.

არის თუ არა რემედასის იდეა, მისი მიზნები და ამოცანები დაახლოვებული წითელ არმიელთან? რა თქმა უნდა არის! წითელ ყაზარმაში რემედასის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ ჩვენი ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის განსამტკიცებლად ნიადაგი მომზადებულია. სხვა თავისუფალ საზოგადოებებთან ერთად, წითელი ჯარის ნაწილებში არსებობს რემედასის მრავალი უჯრედები, რემედასის კუთხეები და სხვ. წითელი არმიელი მიდის რა, უვადო შვებულებაში, თან მიაქვს მუშაობის მთელი რიგი გამოცდილებანი, რომელსაც ის ნაყოფიერად იყენებს თავის სოფელში, სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

მას თან მიაქვს რემედასის უჯრედის მუშაობის ცოცხალი გამოცდილება, ცხადია, რომ უვადო შვებულებაში მივლინებული წითელი არმიელი ხდება რემედასის იდეების აქტიური გამავრცელებელი სოფლად, გლეხობაში. საამისოდ ჩვენ უამრავი ფაქტები მოგვეპოვება. წითელი არმიელი, როგორც ყაზარმაში, ისე შინ დაბრუნების შემდეგ პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

დღეს, წითელი ჯარის არსებობის 11 წლის თავზე— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის შემდეგშიაც მიიღებს აქტიურ მონაწილეობას რემედასის მუშაობაში, რათა კაპიტალის პატიმართა ტანჯვა-წვალებამ ძლიერი გამოძახილი ჰპოვოს თვითეულ წითელ არმიელში. ჩვენ გვჯერა, რომ თვითეული, უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელი გახდება რემედასის აგიტატორი და დამაარსებელი.

მ. ცქვიტინიძე.

# პირველი გამოძახილი

(ხოტინის აჯანყების ათი წლის თავის გამო)

თერთმეტი წლის წინად — 1918 წ. იანვრის 26, კიშინიოვში შემოვიდა რუმინეთის ჯარი. ამ აქტით, ხალხთა ურთ-ერთ შორის დამოკიდებულებათა ისტორიაში, პირველად უსაზიზღრეს ფორმებში მოხდა ბესარაბიის დაპყრობა და მისი გამოცალკევება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შემადგენლობიდან.

დაუპყრობელი დარჩა ერთად-ერთი ხოტინის მაზრა, სადაც იმ ხანებში იდგა ავსტრიის ჯარი. რუმინელი ბოიარები მოუთმენლად მოელოდნენ იქიდან ავსტრიის ჯარების გასვლას, რათა მათ თავიანთი სისხლში გასვრილი ხელები წაეპოტინებიათ ამ გემრიელ ლუკმისთვისაც. რუმინელების ბესარაბიაზე ბატონობის ერთი წლის შემდეგ, ეს ოცნებაც სინამდვილედ იქცა. ავსტრიის ჯარების გასვლისთანავე ხოტინის მაზრას ყოველის მხრიდან შემოესია რუმინელთა შეიარაღებული ბანდები. სექტემბრის შუა რიცხვებში ქალაქ ხოტინში შემოვიდა რუმინეთის პრეფექტი, რომლსაც თან ახლდა კარგად შეიარაღებული სამხედრო ამალა. მან შეკრიბა ადგილობრივი მცხოვრებლები და გამოუცხადა მათ, რომ ამიერიდან ბესარაბიის, როგორც სხვა დანარჩენი მაზრები, ისე ხოტინიც უნდა ექვემდებარებოდეს რუმინეთის სამეფო გვირგვინსო.

ეს განცხადება, როგორც, თვით ოფიციალური ხელისუფლების გამოჩენა, მოთმინებით და მორჩილებით მოისმინეს ბურჟუაზიულმა წრეებმა. რაც შეეხება გლეხთა მასებს, ისინი მტრულად შეხვდნენ ამ ფაქტს, ვინაიდან რუმინელ ხელისუფალთა ალვირ-ახსნილობისა და ვერაგობის შესახებ ბევრი რამ სმენიათ ხოტინის მაზრის გლეხებს. გლეხკაცობა სრულიად წინაალმდეგი იყო ხოტინის მაზრაში რუმინელთა ბატონობის დამკვიდრებისა. სოფლებსა და თემებში სასწრაფოდ მოეწყო შეიარაღებულთა გუნდები წინაალმდეგობის გასაწევად. თვით ხოტინში ჩამოყალიბდა აჯანყების მთავარი კომიტეტი რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: დუნგერ, ტოკან, ლისაკ და სხვ.

1919 წ. იანვრის 21, ღამით, აჯანყებულთა მცირე ჯგუფი, რიცხვით 80 კაცი, ხოტინის მიმართულებით ტყეში წააწყდა რუმინელ მზვერავებს. გაჩაღდა სროლა, რუმინეთის ხელისუფლებამ ხოტინის სიმაგრეებიდან ყუმბარების სროლა ასტეხა და ცეცხლი დაუშინა ტყეს იმ მიმართულებით საითაც სროლის ხმა მოდიოდა. ეს იყო ნიშანი საერთო აჯანყებისა. მაზრის ყველა კუთხეებიდან შეიარაღებული გლეხები დაიძრენ ხოტინისაკენ, რომელიც ცენტრად იყო დანიშნული, აჯანყებულთა უმრავლესობას თოფების მაგივრად სარები და ფიწლები ეჭირათ. ჩქარა ხოტინი აიღეს და მისი მიდამოები სრულიად გასწმინდეს რუმინელ ჯარის კაცების ნარჩენებისაგან.

ხელისუფება გადავიდა დირექტორიის განკარგულებაში. ერთ დღეს ჩამოყალიბებული იქნა სამი სხვა და სხვა პოლკი: რუკინსკის, ანატულსკისა და დონკაუცის, რომლებიც დანაწილებული იქნენ სათანადო პოზიციებზე. საპატიმროდან გაანთავისუფლეს ტყვე-რუმინელები და შეიპყრეს აქტიური კონტრევოლიუციონერები, მათ შორის ქალაქის თავი განჩევიჩიც. თუ რამდენად „სიმპატიურად" იყვნენ განწობილნი „დედა რუმინეთისადმი" ადგილობრივი ბოლშევიკების სხვადასხვა ფენები, სჩანს იქიდანაც, რომ აჯანყება დღითი-დღე უფრო მწვავდებოდა და ფართე ხასიათს ღებულობდა.



საპყრობილე კიშინიოვში

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებულებს არ ჰყავდათ მაგარი და გამოცდილი ხელმძღვანელები. ლუსკინმა და ლისაკმა აჯანყებულებს უღალატეს, გადასცეს ის დირექტორიას და თვითონ კი, პეტლიურას მხარეზე გადავიდნენ. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი მაევსკი პროვოკატორი აღმოჩნდა. რუმინელებმა ისარგებლეს, რა ამ შემთხვევით ასტეხეს განგაში, შექმნეს პანიკა, დაიწყეს ათასგვარი პროვოკაციული ხმების გავრცელება, რომლის ძალითაც მთელს მხარეში შემოიყვანეს ახალი შეიარაღებული ძალები. აჯანყებულთა შორის დაიწყო რყევა, ბევრს შეეშინდა და პოლკებიდან დაიწყეს გასვლა. ამ გარემოებით შეშფოთებულმა ხელმძღვანელებმა აქტივისტების თათბირზე იანვრის 27, დაადგინეს გადასულიყვნენ თანდათანობითი დახევაზე. რუმინელებმა ყოველის მხრიდან დასძრეს თავიანთი შეიარაღებული ძალები და საბოლოოდ გაანადგურეს აჯანყებულები.

რუმინელი ჯალათები გაუბედავად ზეიმობდენ თავიანთ გამარჯვებას და ამავე დროს განაგრძობდნენ უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჟლეტას, რომელმაც მიიღო საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის საშინელი ხასიათი. ზოგიერთი სოფლები, როგორც მაგალითად ატაკი, დონკაუცი, სტავჩანი და სხვ. მთლიანად გადაჰბუგეს, სხვა სოფლებში კი, ცეცხლი წაუკიდეს 20-დან 200-მდე სახლს. დახვრეტილების, დაჭრილების, აჰკუწულების და ცოცხლად ცეცხლში გადაგდებულების რაოდენობა რამდე-



ნიკარაგუაში გაფიცულთა ბელადი—ს ა ნ დ ი ნ ო თავისი თანაშემწეებით.

ნიმე ათასს აღწევდა. სამოცი ათასი გლეხი გაექცა ამ უსაშინელეს სისხლიან თარეშს. მათ თავი შეაფარეს უდაბურ ტყეებს უკრაინის მხარეში, მდინარე დნეპრის ნაპირებზე, სადაც მათ მუსრს ავლებდა სიცივე და სიმშილი.

ასეთია ტრაღიკული, მაგრამ მაინც გმირული ბრძოლა ხოტინის აჯანყებულებისა. აჯანყება მოხდა რუმინეთზე ბესარაბიის მიმაგრების წლის თავზე.

ბესარაბიის ოკუპაციის წლის თავზე შემთხვევით მომხდარი აჯანყება რუმინელთა ბატონობის წინააღმდეგ, არის მაჩვენებელი იმ სიძულვილისა, რომლითაც შეპყრობილი იყო მთელი მოსახლეობა ძალით შემოჭრილ ოკუპანტების მიმართ.

ხოტინის აჯანყება ეს იყო ბესარაბიის მშრომელ მასების პირველი უძლიერესი პასუხი, „დ ე დ ა რ უ მ ი ნ ე თ ი“-ს საზიზღარი საქციელის წინააღმდეგ მიმართული, რომელიც ირწმუნებოდა თითქოს მას ნებაყოფლობით შეუერთდა და მიემხრო მისი „ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ბ ე ს ა რ ა ბ ი ა.“

ეს იყო პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი პასუხი. ხოტინის აჯანყებას თან მოჰყვა მთელი რიგი გლეხთა აჯანყებებისა ბესარაბიის სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის სახელგანთქმული და ცნობილი თ ა თ ა რ ბ უ ნ ა რ ე ლ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა.

ბესარაბიაში რუმინელთა თარეშის თერთმეტი წელი, ამ ქვეყნის ისტორიაში სისხლის ასოებით არის აღნიშნული. მთელი ამ ხნის განმავლობაში მარტო მოკლულთა რაოდენობა 30.000 აღწევს. თუ ამ რიცხვს მივუმატებთ ამ ქვეყნიდან გადახვეწილთა რაოდენობას, რომელიც 300.000 აღემატება, მაშინ დავინახავთ, რომ მთელი მოსახლეობის რაოდენობას, რომელიც უდრის 3.000.000, დააკლდა 11-12%. ამასთანავე ერთად სწარმოებს მოსახლეობის რაოდენობის ჯერ არნახული „ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი“ დაკლება. მთელს ამ მხარეში გავრცელებულ ეპიდემიურ ავადმყოფობების, სიმშილის, სიღარიბის და ხელისუფლებისაგან ელემენტალურ დახმარების უქონლობის ნიადაგზე სოფლად და ქალაქად უწყალოდ იხოცება მოსახლეობა. ბესარაბიის ბევრ სოფლებში დღეს გაცილებით უფრო ნაკლებია მცხოვრებთა რაოდენობა, ვიდრე ამ 20 წლის წინად იყო.

ბესარაბიის ეკონომიური მდგმარეობა ყოველწლიურად უარესდება. ოდესღაც აყვავებულ და მოსავლიანი ბესარაბიის ნაწილის მოწყვეტამ საბჭოთა კავშირიდან უდიდესი გავლენა იქონია მთელ ამ კუთხის (ბესარაბიის) მოსავლიანობაზე და ის საგრძნობლად ჩამოაქვეითა. საკმარისია მოვიგონოთ მარტო ის გარემოება, რომ ბესარაბიას მთელი თავისი ექსპორტის 2/3 ოდესის ნავთსადგურიდან გაჰქონდა. მარტო 1911 წ. ბესარაბიამ აქედან გაიტანა საზღვარგარეთ 690.000 ტონა სოფლის მეურნეობის ნაწარმოები. ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაშია მისი მრეწველობაც. რუმინეთის ბურჟუაზია უყურებს რა ბესარაბიას, როგორც აგრარულ კოლონიას, ყოველმხრივად ხელს უშლის ამ უკანასკნელის მრეწველობის განვითარებას იმ მოსაზრებით, რომ ძველი რუმინეთი გადააქციოს მის ცენტრად.

თითქმის ყველაზე უფრო ელემენტარული პოლიტიკური თავისუფლებაც ჩახრჩობილია აქ რუმინელ ბოიარების წყალობით. დაშლილია პროფესიონალური ორანიზაციები, უმნიშვნელო და საცოდავი საარჩევნო უფლებაზედაც დაწესებულია ჟანდარმთა ოხრანკების მეურვეობა. ნაციონალური შევიწროებანი, ეკზეკუციები, წამება, დევნა და დახვრეტები — აი, ის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სამოთხე, რომელიც დაამკვიდრეს ბოიარებმა ოკუპაციაქმნილ ბესარაბიაში.

რუმინეთის ეხლანდელი ხელისუფლება ლამობს უკანასკნელ ხანებში დაარწმუნოს ევროპის საზოგადოებრივი აზრი, იმ რეჟიმის ლიბერალობაში, რომელსაც ისინი ამკვიდრებენ ბესარაბიაში, მაგრამ ფაქტები უკუღმა მეტყველებენ. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, პრემიერი მანიუ თითქმის არ კმაყოფილდება ბესარაბიის ნაციონალურ-გლეხური პარტიის ბელადის — სტერეს მოღვაწეობით. მაგრამ, თუ ამ წმინდა წყლის რეაქციონერს, არ შეუძლია ასიამოვნოს მას, ეს მაჩვენებელია იმისა, რომ მანიუს განზრახული აქვს გააგრძელოს ძალადობისა, და ბესარაბიის მშრომელი ხალხის ძარცვა-გლეჯის პოლიტიკა — ავერესკუს მაგალითის მიხედვით.

ბესარაბიის მშრომელი მოსახლეობა ისევ გმინავს მონობის მძიმე უღლის ქვეშ, მაგრამ ამისი ასე გაგრძელება ყოვლად წარმოუდგენელია. ის საშინელი ზიზღი და სიძულვილი, რომელსაც გულში ღრმად ინახავს ამ ქვეყნის ყველა მშრომელი ოდესმე გადმოხეთქავს და ის ააფეთქებს რუმინეთის ოლიგარქიას. ეს იქნება ამ ქვეყნის ტვირთმძიმეთა უკანასკნელი პასუხი თავიანთი ჯალათების წინააღმდეგ.

ბ. მაიბერგი.



# წ ი თ ე ლ  ა რ მ ი ა ს

კვლავ გამარჯვება
წითელ არმიას,
კვლავ ერთგულება,
სალამი ჩემი,
მრავალი მტერი
მან დაარბია,
მტერი მოსისხლე,
ძირს დასაცემი.
რევოლიუციის
ლვიძლი შვილია,
მოგუშაგეა
საბჭოთა მხარის,
ბრძოლის დროშებით
წინ გაშლილია,
წინ მიიწევა,
წინ მიიჩქარის,
ის წარმოიშვა
მაშინ, როდესაც
ხდ(;)ბოდა ომი
სამოქალაქო.
ქვეყანას სროლის
ხმები მოესმა,
ქვეყანა სისხლმა
უნდა გალაქოს.
შემოსეული
ვერაგთა ხროვა
ემუქრებოდა
საბჭოთა მხარეს,
ისმოდა ბავშთა
მოთქმა და გლოვა,
დედებმაც ბევრი
ცრემლი დაღვარეს.
სისხლით ირწყვოდა
მთელი მთა-ბარი,
ცეცხლი ეკიდა
სოფლებში სახლებს.
იწოდა გლეხთა
თავშესაფარი,
რბევა სწყუროდათ
დონის ყაზახებს.
თოფის წამალის
სუნი დგებოდა
საბჭოთა ქვეყნის
მინდორ-ველადა,
ძველი რუსეთის
დრო ეცემოდა,
დროსგან მშიერი
ხალხი ღელავდა.
გლეხებს ესხმოდენ
პარტიზ:ნები,
როცა ლამობდენ
სოფელთ აკლებას.
სოფლად დგებოდა
გლეხთა რაზმები,
ტყვიით იცავდენ
თავისუფლებას,
ფრონტზე დასტოვა
სიცოცხლე ბევრმა,
ბევრმა-კი, მტერი
დასცა არბია.
ლენინის მიზნის
მოსისხლე მტერმა
ველარ გაუძლო
წითელ არმიას.
მრავალი ბრძოლით
გადაიარა
სამოქალაქო
ომის ქუხილმა.
მალე გამოჩა
ქვეყნის იარა,
ჭირი წაიღო
ქვეყნის წუხილმა.
კომუნიზმიდან
ნაქროლავ ქარში
არ გვჭირდებოდა
უკან გაქცევა.
ბევრი შევიდა
ისტორიაში—
ისტორიული
სისხლის დაქცევა.

—

ბრძოლა არ არის
უკანასკვნელი,
ტყვიას ისევე
ვამზადებთ მტრისთვის.
საზეიმოა
თერთმეტი წელი—
რევოლიუ(ც)იის
გუშაგობისთვის.
კვლავ გამარჯვება
წითელ არმიას.
კვლავ ერთგულება,
სალამი ჩემი.
მრავალი მტერი
მან დაარბია,
მტერი მოსისხლე,
ძირს დასაცემი.

ვარლამ ჟურული.

# საერთაშორიშო ანტიფაშისტური კონგრესი

საერთაშორისო ანტიფაშისტურ კონგრესის მომწვევ საინციატივო კომიტეტებმა, მისი თავჯდომარის ჰ ა ნ რ ი ბ ა რ ბ ი უ ს ი ს ხელმოწერით გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც კომიტეტი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ კონგრესის მოსაწვევ წინასწარ სამუშაოების ჩატარებაში, აირჩიონ და გააგზავნონ კონგრესზე თავიანთი წარმომადგენლები. ამ მოწოდებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელ რიგ ევროპიულ სახელმწიფოებში. გერმანელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები როგორიცაა მაგალითად ა ი შ ტ ა ი ნ ი, ე. ტ ო ლ ლ ე რ ი, გ. მ ა ნ ნ ი და სხვ. შეკავშირდენ და შექმნეს კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ამ კონგრესის დაჩქარებით მოწვევას. ანალოგიური კომიტეტები ყალიბდება სხვა დანარჩენ ქვეყნებშიაც.

„ას მილიონზე მეტი ხალხი გმინავს ევროპაში, — სწერია საინციატივო კომიტეტების მიერ გამოცემულ მოწოდებაში,—იტალიის, პოლონეთის, ლატვიისა და ბალკანეთის სხვა დანარჩენი ქვეყნები სულს ღაფვენ ფაშიზმის მძიმე უღლის ქვეშ, ხალხთა ძალდატანებითი დამონავება, მათთვის ელემენტალური პოლიტიკური უფლებების წართმევა და მათი სრულიად ჩამოშორება საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრებიდან — ასეთია ამ ქვეყნების თანამედროვე, ბურჟუაზიული ხელისუფლების პოლიტიკა. განსაკუთრებული ტრიბუნალები, რომელთა

პრაქტიკაში ადამიანის წამება ნორმალურ მეთოდებათ არის შემოღებული, ყოველდღიურად ასამართლებენ ფაშიზმის მოწინააღმდეგეებს და სასტიკი განაჩენი გამოაქვთ მათ საქმეზე.

რაც შეეხება გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულებას, ფაშიზმი, რომელიც ცდილობს მომავალში გაახანგრძლივოს თავისი არსებობა, წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს მეზობელ ქვეყნებისა და ევროპის საერთო მშვიდობიანობისათვის. ამიტომ შეუძლებელია ფაშიზმის გარჩევა, ისე როგორც ფაშისტური ქვეყნების შინაური საქმეები. ფაშიზმი, ეს კაცობრიობის უსაშინელესი მტერია. საჭიროა მას ძლიერი წინააღმდეგობა გაეწიოს, საჭიროა მას დაუპირისპირდეს საერთაშორისო მუშათა კლასის გაერთიანებული ძალა და ყველა პროგრესიული იდეის მატარებელი საზოგადოებრივი ფენები.

ჩვენ მოუწოდებთ მთელი ქვეყნის დაჩაგრულ-დაბეჩავებულებს და მისი ინტერესების დამცველებს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ ფაშისტურ კანონებს, განსაკუთრებული ტრიბუნალებს და მოითხოვონ პოლიტ-პატიმართა სრული ამნისტია, საკატორღო ციხეებში მოქცეულთა მძიმე პირობების შეცვლა და ფაშიზმის მიერ გადასახლებულთა განთავისუფლება.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დაუყონებლივ საერთაშორისო მასშტაბით გამოსვლა პროფკავშირებისა და მუშათა ორგანიზაციების განსათავისუფლებლად, რომლებიც ნადგურდებიან ფაშიზმის რეჟიმის წყალობით.

საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი ვალდებულია ერთსულოვნად გამოვიდეს ნაციონალურ უმცირესობათა დასაცავად, რომელსაც მიუხედავათ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა დაუნდობლად ებრძვის ფაშიზმი, შლის მათ სკოლებს, სდევნის მათ დედა-ენას ანადგურებს მათ ფიზიკურად და არ იხევს არავითარი საშვალებების წინაშე ოღონდ-კი მიაღწიოს მათ სრულ დაქუცმაცებას.

ომიანობისა და სისხლის ღვრის წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადოებრივმა ფენებმა უნდა შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები გამუდმებულ ფაშისტურ ბარბაროსობის წინააღმდეგ, რომელიც განუკითხავად მუსრს ავლებს რევოლიუციონურ პროლეტარიატის მიზნებისათვის საუკეთესო მებრძოლ რიგებს.

ყველა ფაშისტური ქვეყნები გაცხოველებით ემზადებიან ომისათვის, როგორც შეიარაღებითი, ისე დიპლომატიური და იდეოლოგიური გზით. ისინი ეპირებიან ახლო-მომავალში ევროპის ყველა ქვეყნებში დაანთონ ახალი ომის ცეცხლი.

საჭიროა მობილიზაცია გაუკეთდეს ყველა ცოცხალ ძალებს, იმისათვის, რომ ყველა ამ ქვეყნებიდან დევნილ რევოლიუციონერებს, პოლიტ-ემიგრანტებს და მათ უპატრონოდ დარჩენილ ოჯახის წევრებს აღმოეჩინოს სასწრაფო დახმარება და მიეცეს მყუდრო თავშესაფარი.

ამ ამოცანებისათვის ბრძოლა, მხოლოდ მაშინ შეიძლება ბრწყინვალე გამარჯვებით იქნეს დაგვირგვინებული, როცა ფაშიზმის ყველა ჭეშმარიტი მოწინააღმდეგენი შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს. აქედან-კი გამომდინარეობს საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესის მოწვევის აუცილებლობა. ეს კონგრესი უნდა გახდეს, არა ლამაზი სიტყვებისა და პლატონიური დეკლარაციების გამოსაქვეყნებელი ადგილი, არამედ მებრძოლი ძალების დასათვალიერებელი და საერთაშორისო რევოლიუციონურ მუშათა კლასის წინაშე წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტი გეგმების შესადგენი ასპარეზი.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ მივმართავთ მთელი ქვეყნის მუშებსა და მათ ორგანიზაციებს იმიტომ, რომ მუშათა კლასი თანამედროვე ეპოქაში პროგრესისა და კულტურის უძლიერესი ძალაა. დე, ჩვენი მოწოდება გაიგოს მთელი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაროების მუშებმა, მინდვრად მომუშავე გლეხებმა და ყველა იმათ, ვინც თავისი შრომით ჰქმნიან ამ ქვეყნის სიმდიდრეს.

ჩვენ მივმართავთ მთელი ქვეყნის ახალგაზრდობას, მოწაფეობას და ახალგაზრდა მუშებს და ვეუბნევით მათ: ფაშიზმის მსხვერპლთა დიდი უმრავლესობა თქვენებრ ახალგაზრდები არიან! მათ მსხვერპლად შესწირეს თავი, კაცობრიობის საუკეთესო და ბრწყინვალე მომავალს. დააჩქარეთ იმ დღეების მოახლოვება, როცა სინამდვილეთ იქცევა მათი ოცნება. გამოგზავნეთ თქვენი წარმომადგენლები ანტიფაშისტურ კონგრესზე. ჩვენ მივმართავთ აგრეთვე ყველა მიმართულებათა გონებრივ მუშაკებს და ვაცხადებთ, რომ ფაშიზმი არა-თუ ხელს უშლის და აფერხებს საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ წინსვლასა და განვითარებას, არამედ ის თავისი სისხლიანი რკინის ქუსლებით მიწასთან ასწორებს კაცობრიობის უძვირფასეს საუნჯეს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შექმნილა შრომითა და ოფლით.

ყველა ეროვნებათა ანტიფაშისტური ძალების წარმომადგენლების მიერ შექმნილი უძლიერესი ფრონტი შეაჩერებს ფაშიზმის განვითარებას, რომელიც ანადგურებს კაცობრიობის ყველა მატერიალურ კულტურულ და ეთიურ ღირებულებებს“.

ზ.—უ.



რუმინეთში პატიმრებს ცხენოსან ჟანდარმების თანხლებით მიერეკებიან საპატიმროებისაკენ.

საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

# ამნისტიისათვის ბრძოლა ბალკანეთის ქვეყნებში

„20 წ. ციხეში დაპატიმრება, ან სიკვდილით დასჯა—რევოლიუციონური რწმენისათვის“.

(ბულგარეთის, სამხრეთ-სლავიისა და სხვ. ქვეყნების განსაკუთრებული კანონებიდან)

ბალკანეთის ქვეყნებში თეთრი ტერორი ხშირად განსაკუთრებული კანონების სახით გვევლინება.

განსაკუთრებული კანონები „მილებულია“; და „სახელმწიფოს დაცვის კანონი“ სამხრეთ-სლავიაში არსებობს 1920 წ. დეკემბრიდან და 1921 წ. ივნისიდან. ასეთივე კანონი არსებობს ბულგარეთშიაც 1923 წ. რუმინეთში 1924 წ. არსებობს მარეცკოს კანონი, რომელიც მიმართულია პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ. საბერძნეთში 1924 წ. შემოღებულია რევოლიუციონერი მოღვაწეების გადასახლება.

ამ კანონების წყალობით მთელს ბალკანეთში ჰერქვეშაა მოქცეული კომუნისტური პარტია, კომკავშირი და პრესა; ამასთანავე ერთად საშინელ დევნასა და შევიწროებას განიცდიან პროფკავშირები და ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის ხელმძღვანელები. ამ კანონების შემოღების შემდეგ პატიმრებით გაივსო ბალკანეთის ქვეყნების ყველა საპატიმროები.

რუმინეთის საპყრობილეებში მოქცეულია 400 პოლიტ-პატიმარი; აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საპყრობილე, „ოკნა ლამარეში“ ჯერ კიდევ სხედან 1907 წ. გლეხთა აჯანყების მონაწილენი. სამხრეთ-სლავიაში პოლიტ-პატიმართა რაოდენობა 1500 აღწევს, რომლის უმრავლესობა ნაციონალ-რევოლიუციონერები არიან. ლეპოგლავის საპატიმროში ჯერ კიდევ 1920 წ. სექტემბერში მომხდარ მღელვარების დროს შეპყრობილია 60 გლეხი. ბულგარეთის საპყრობილეებში ზის 800 პოლიტ-პატიმარი. საბერძნეთში არ მოიპოვება ისეთი კომუნისტი, რომელსაც არ გამოევლოს საპატიმროს საშინელი დღეები და არ ენახოს ჰეგეის ზღვის კუნძულებზე გადასახლების „სიტკბოება“.

უკანასკნელ ხანებში საბერძნეთში ისევ სწარმოებს გაცხოველებული თათბირი კომუნისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების დაწესების შესახებ. სამხრეთ-სლავიაში კი მიმდინარე წლის იანვრის 6 სამხედრო ფაშისტურ ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ეს განსაკუთრებული კანონები უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს.

1928 წ. სექტემბერში კლაუზენბურგის „76“-ის ცნობილ პროცესზე ყველა ბრალდებულები ერთხმად მოითხოვდენ კომპარტიისა და კომკავშირის ლეგალიზაციას, ისინი ამავე დროს მოითხოვდენ თეთრი ტერორის შეწყვეტას, ამ მოთხოვნილებას მხარი დაუჭირა ადრიალის ოლქის 1500 მუშამ. 1928 წ. დეკემბერში ბუქარესტში დაარსდა ამნისტიისათვის მებრძოლი ცენტრალური კომიტეტი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ლიბერალური და საზოგადო მოღვაწე კოსტა ფორუ. კომიტეტის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუშათა ბლოკმა, უნიტარულმა პროფკავშირებმა და სხვ. ორგანიზაციებმა. ამ კომიტეტმა თავისი მოქმედების სიძლიერე გამოიჩინა 1928 წ. დეკემბერში რუმინეთში ჩატარებული არჩევნებთან დაკავშირებით. ბუქარესტსა და სხვ. ქალაქებში მომხდარ მასიური დემონსტრაცია-მიტინგებზე წამოაყენეს საერთო პოლიტიკური ამნისტიის მოთხოვნილება. ეს კამპანია დღემდის გრძელდება და ედება მთელს მხარეს. დეკემბრიდან გამოდის სპეციალური გაზეთი „აპარატოროლ პროლეტარი“ („პროლეტარული მფარველი“). ეს გაზეთი უნიტარულ პროფკავშირებთან დაარსებული დახმარების კომიტეტის ორგანოა და ის მიზნად ისახავს აღნიშნული კამპანიის მსვლელობისა და მიღწევების გაშუქებას.



გერმანიის „წითელი დახმარების“ მიერ მოწყობილი საღამო 1928 წ. დეკემბრის 25. ქ. ბერლინში.

1928 წ. ნოემბრის ბოლო რიცხვებში ბულგარეთში ჩამოყალიბებული იქნა „თეთრი ტერორთან მებრძოლი ცენტრალური კომიტეტი“ რომლის შემადგენლობაში შევიდენ მუშათა პარტიის, მუშა ახალგაზრდობის კავშირის, დამოუკიდებელი პროფკავშირებისა და სხვ. წარმომადგენლები. სულ მცირე ხნის განმავლობაში ამ კომიტეტმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მხარეში.

მთელ რიგ ქალაქებში მოეწყო მასიური კრებები, სადაც მიღებული იქნა სპეციალური რეზოლიუციები, ამორჩეულია დელეგაციები და გამოცემულია სამი ფურცელი ამნისტიის სასარგებლოთ. არა მარტო ქალაქებიდან, არამედ სოფლებიდანაც კი შემოდის მუშათა პრესაში და მინისტრ ლიაპჩევთან მრავალრიცხოვანი საპროტესტო ფურცლები, რომელზედაც ხელს აწერენ მუშები და გლეხები.

ეს პროტესტები აღელვებს ბულგარელ ფაშისტებს, ისინი დაეძებენ ამ ფურცლებზე ხელის მომწერთ და აიძულებენ უარი განაცხადონ თავიანთ ხელმოწერაზე. სო-

ფიის მაზრის, სოფელ სტუდენას გლეხები, რომლებიც მონაწილეობდენ საპროტესტო კრებებზე დააპატიმრეს და გადაიყვანეს ქ. სოფიაში. საშინელ დევნას განიცდის „თ ე თ რ ი ტ ე რ ო რ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ მ ე ბ რ ძ ო ლ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი“. ეს რეპრესიები ვერ აკავებს ბულგარეთის მშრომელებს და მიუხედავად სასტიკი ზომების მიღებისა სოფიაში მაინც ჩამოდიან მრავალრიცხოვანი დელეგატები.

ასეთია ბულგარეთისა და საერთოდ ბალკანეთის სხვა დანარჩენი ქვეყნების რევოლიუციონური მუშათა კლასის ბრძოლის მძიმე პირობები.

**მ. მიხაილოვი.**

# როგორ მოახერხა მამაჩემმა გაქცევა



**ა. ს. ჟიხარევი.**

ქ ომსკის რკინის გზის მუშა-მელითონე, მოხეტიალე რემედასელი, რომელმაც გეოგრაფიული მდებარეობისა და ადგილობრივი მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების გაცნობის მიზნით ფეხ-თ შემოიარა საბჭოთა კავშირი. პირველად სამოგზაუროდ გავიდა 1927 წ 26 ნოემბერს 4 საათსა და 30 წუთზე. ჟიხარევი ამას წინად ტფილისსაც ესტუმრა.

ამხ. ჟიხარევი გზადაგზა თავის მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ წერილებს ათავსებს საბჭოთა პრესაში, რომლიდან ალებულ ჰონორარის 10%-ს სწირავს რემედასს.

„ბ ა რ კ ე ნ გ ო ფ ი“-ს ბავშთა სახლიდან თერთმეტი წლის ბ ე რ ტ ა გ რ ი მ ი შემდეგი შინაარსის წერილს აგზავნის: „მე მინდა თქვენ მოგწეროთ იმის შესახებ, თუ როგორ დააპატიმრეს მამაჩემი ლიტვაში.

დილით ავდექით, თუ არა ჩვენთან გამოცხადდა მთელი ხროვა პოლიციელებისა, რომელმაც გაჩხრიკეს ჩვენი ბინის ყველა ფარული კუნჭულები. სახლში თითქმის ყველა ავეჯეულობა ყირაზე გადმოაბრუნეს, მაგრამ მაინც ვერაფერი იპოვეს. რატომღაც იმათ თან წაიღეს ჩემი რვეული, რომელშიაც მე გამომყავდა არითმეტიკული ამოცანები, ამავე დროს მათ წაიღეს ჩემი ბიძიასი და მისი ცოლის მისამართი. ამის შემდეგ გაჩხრიკეს მამაჩემი, მაგრამ ვერც იმას აღმოუჩინეს საეჭვო რამე. მიუხედავათ ამისა მამაჩემი მაინც დააპატიმრეს და წაიყვანეს. მისი წასვლის შემდეგ, ჩვენ ძალიან ბევრი ვიტირეთ. დედაც ტიროდა და სულ აგინებდა პოლიციელებს, რომლებმაც თურმე უწყალოდ სცემეს მამაჩემი შიშველ ფეხებზე რეზინის ჯოხებით. მეორე დღეს მამა გაიქცა საპატიმროდან როცა ჩვენ მას საპატიმროში ლოგინი მივუტანეთ, მოსამსახურეებმა გვიპასუხეს, რომ ის საპატიმროში არ იმყოფებაო, ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს სახლს მოადგა შეიარაღებული ცხენოსანი პოლიციელები, რომლებმაც ხელმეორედ გასჩხრიკეს ჩვენი ბინა. რადგანაც მამა სახლში ვერ აღმოაჩინეს, მათ გასჩხრიკეს აგრეთვე ყველა ჩვენი ნათესავებისა და ნაცნობების სახლი.

მამას გაქცევის შემდეგ გავლა მოუხდა ისეთ ადგილებში, სადაც ფაშისტები იყვნენ მოკალათებულნი, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის მაინც უვნებლად გავიდა საზღვარგარეთ. ამრიგად, მამამ თავი ამოჰყო გერმანიაში. ამის შემდეგ მასთან გადავსახლდით ჩვენც — დედა, ჩემი და და მე.

ჩვენმა მშობლებმა გერმანიაში ვერსად ვერ იშოვეს სამსახური, ამიტომ კენისბერგში გერმანიის „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ა მ“ ჩვენ გადაგვაგზავნა გერმანიის „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ბავშთა სახლში — „ბ ა რ კ ე ნ გ ო ფ ში“. მე და ჩემი და უკვე მეოთხე კვირაა, რაც ამ სახლში ვიმყოფებით. ჩვენ ძალიან მოგვწონს ეს სახლი. გვკვებავენ ჩინებულად, საქმელი გვაქვს იმდენი რამდენიც გვინდა. ყოველ ჩვენთაგანს საკუთარი საწოლი აქვს. რაც აქ მოვედით ჩვენ საგრძნობლად გამოვკეთდით და წონითაც ორ-კილოგრამზე მეტი მოვიმატეთ“.

# ამნისტიისათვის ბრძოლა ბულგარეთში

პოლიტ-პატიმართა საერთო ამნისტიისათვის ბრძოლამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო მთელს ბულგარეთში. სოფიაში ყოველდღიურად ჩამოდიან მუშათა და გლეხთა დელეგატები: ვარნადან, ბურგასიდან, ტირნოვოდან, პლოვდივიდან, პერნიკიდან და სხვ. ადგილებიდან, პოლიტ-პატიმართა განთავისუფლებასთან ერთად ბულგარეთის მშრომელი მასები ხელისუფლებას უყენებენ მოხსნან სახელმწიფოს თავდაცვისათვის შემოღებული განსაკუთრებული კანონები, მუშათა და გლეხთა მოძრაობის და ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის დასაწყებად სამზადისის შეწყვეტას, განსაკუთრებით უკანასკნელი მუხლი დიდ მითქმა-მოთქმას და წინააღმდეგობას იწვევს ფაშისტურ ხელისუფლების წარმომადგენლებში, რომლებიც მოქმედებენ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტების მითითებით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ლიაპჩევი სრულიად გულახდილადეუბნება ახალგაზრდობის დელეგაციას, რომელიც მოითხოვს თეთრი ტერორის შეწყვეტას:

— სანამ თქვენ უარს არ იტყვით და ხელს არ აიღებთ III ე ინტერნაციონალის ლოზუნგზე: „ძირს ს. ს. რ. კავშირთან ომი“,—ჩვენ ვერ შევაჩერებთ თეთრ ტერორს“-ო.

ბულგარეთის მუშათა წრეებში უდიდესი თანაგრძნობა გამოიწვია ბულგარეთის 22 საპატიმროში 1200 პატიმრის მიერ სამი დღის განმავლობაში სიმშილობის ჩატარებამ. იმის შესახებ, თუ რა საკვირველი ხასიათი მიიღო ბულგარეთში ფაშისტურმა იუსტიციამ, მეტყველებს მის მიერ გამოტანილი განაჩენების სიდიდე, რომელსაც, ბალკანეთის თეთრ ტერორის წინააღმდეგ მებრძოლ პარიზის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, ადგილი ჰქონდა ბულგარეთის 14 საპატიმროში. ამ ციხეებში მოქცეულია 691 პატიმარი, მათ შორის 121 მისჯილი აქვს დახვრეტა, 110 საუკუნო კატორღა, დანარჩენებს კი საერთო ჯამით 3.137 წელი პატიმრობა. დანარჩენ 8 საპატიმროში მოქცეულთა შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები შეკრებილი არაა. როგორც ვიცით ამ ციხეებში მოქცეულთა რაოდენობა 500 კაცს უდრის.

* * *

ლიაპჩევის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს მასების მიერ ამნისტიის მოთხოვნას, საერთაშორისო პროლეტარიატის ძლიერ პროტესტებს, საზოგადოებრივ აზრს და განაგრძობს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების დარბევა-განადგურებას. ის ყოველდღე ახალ-ახალ პოლიტიკურ პროცესებს ამზადებს.

ჩვენს განკარგულებაშია სარწმუნო წყაროები, რომლითაც ნათელი ხდება ის გარემოება, რომ ახლოჭმომავალში ბულგარეთში მოეწყობა შემდეგი პოლიტიკური პროცესები: 1. სოფიის 30 მუშის გასამართლება, რომლებსაც ბრალად ედებათ კომპარტიის წევრობა. 2. ლოვანელი 60 მუშის გასამართლება, მათ ბრალად ედებათ მუშათა ადგილობრივ ორგანიზაციის წევრობა, 3. მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მუშათა კომისიის პროცესი. პასუხისგებაში მიცემულნი არიან, პარლამენტის დეპუტატი ა. სტოიანოვი, და მდივანი ლენკოვი, 4. 25 ახალგაზრდა მუშის პროცესი, რომლებსაც ბრალი ედებათ, ქ. სოფიაში გასული წლის სექტემბერში, საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის ზეიმის ჩატარების დროს „აჯანყების მოწყობის ცდაში“, 5. ამავე საბაბით იამბოველი 5 ახალგაზრდა მუშის პროცესი, 6. გაზეთ „ნ ო ვ ი ნ ი“-ს ცხრა პროცესი სხვადასხვა წერილების მოთავსებისათვის, 7. რამდენიმე პროცესი გლეხთა კავშირისა, მათ შორის პარლამენტის დეპუტატის—დრაგნევისა, 8. თეთრი ტერორის წინააღმდეგ მებრძოლ ცენტრალურ კომიტეტის პროცესი სოფიაში, პასუხისგებაში მიცემულია მუშათა პარტიის დამოუკიდებელი პროფკავშირის 9 მოღვაწე, 10. დამოუკიდებელ პროფკავშირების გაზეთ „ედინსტვო“-ს მთავარი რედაქტორის პროცესი, 11. მუშათა პარტიის ორგანო „რაბოტნიჩესკო დელოს“ პროცესები.

ასეთია პროფესორ ლიაპჩევის ვერაგული ხელისუფლების მოღვაწეობა, რომლითაც ის ლამობს მუშათა რევოლიუციონური მასების კანონიერ მოთხოვნილებათა ფეხქვეშ გათელვას, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როცა ბულგარეთის მუშათა კლასი ღირსეულ პასუხს მოსთხოვს ამ სისხლიანი პროფესორის თეთრი ბანდების უპასუხისმგებლო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ი. მ—ვი.



„წითელი დახმარების დღეს“ მოწყობილი კრება „ბარკენგოფში“ (გერმანია).

# რემედასი საქართველოში

## რა მოგვცა კვირეულმა

(ქ. ქუთაისი).

რემედასის კვირეულის ნაყოფიერად ჩასატარებლად რემედასის ქუთაისის სამაზრკომმა გამოჰყო ცენტრალური კომისია ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ღ ვ ა მ ი ჩ ა ვ ა ს თავმჯდომარეობით.

ცენტრალურმა კომისიამ თავის მხრივ გამოჰყო ქვეკომისიები სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რომლებსაც მიეცათ საჭირო განმარტება-ინსტრუქციები.

წინასწარ შემუშავებული იქნა კვირეულის ჩატარების გეგმა, რომელიც 3 ნაწილად იქნა დაყოფილი: 1. სააგიტაციო-მოსამზადებელი, 2. საორგანიზაციო და 3. თვით კამპანიის ჩატარება.

მოსახლეობაში რემედასის კვირეულისათვის ახსნა-განმარტების მისაცემად გამოყენებული იქნა რემედასის აქტივი მთლიანად. აღფრთოვანებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აქტივი უდიდესი ენერგიით ჩაება რემედასის კვირეულის ჩატარებაში.

კვირეულის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს, როგორც პარტიისა და კომკავშირის წევრებმა, ისე დელეგატ და საერთოდ მშრომელმა ქალებმა. კვირეულს მხურვალედ გამოეხმაურა აგრეთვე ქუთაისის მშრომელი ინტელიგენციის დიდი უმთავლესობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რეჟისორმა კ ო ტ ე მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა მთელი თავისი დასის შემადგენლობით აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ კამპანიის ჩატარებაში. მის მიერ უსასყიდლოდ გაიმართა რემედასის სასარგებლოთ ფასიანი წარმოდგენა, რისთვისაც რემედასის ქუთაისის სამაზრკომი ულრმეს მადლობას უცხადებს, როგორც თვით რეჟისორ მარჯანიშვილს, ისე მის დასს.

მადლობის ღირსია აგრეთვე ამხ. ლორთქიფანიძე და ილია კვიცინიძე, რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კვირეულში.

კვირეულის განმავლობაში სულ შემოვიდა 5. 530 მ. და 26 კაპ. გასავალი უდრის 224 მან. და 28 კაპ.

დასასრულ, არ შეიძლება სიამოვნებით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქუთაისის მშრომელი მოსახლეობა მხურვალე მონაწილეობას იღებს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის — რემედასის გასაძლიერებლად, ამას ამტკიცებს ქუთაისსა და მის მაზრაში უკანასკნელად ჩატარებული რემედასის კვირეული.

კ. კალანდაძე.

---

## მივიწყებული კუთხე

(ქ. ტფილისი, პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა).

რემედასის მთელ მუშაობას მშრომელ მასებში პრაქტიკულად უჯრედები ატარებენ. იმ ადგილებში სადაც უჯრედი თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას. გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა. თავის დროზე იწვევა რემედასის უჯრედის კრებები, კეთდება მოხსენება-საუბრები, იმართება საღამოები და ამრიგად მშრომელი მასების ინტერნაციონალურად აღზრდის უდიდეს იდეებს ხორცს ასხამენ უჯრედები.

ამ მუშაობის ცხოვრებაში გატარებას ხელს უწყობს რემედასის კუთხე, სადაც უნდა მიმდინარეობდეს სისტემატიური მუშაობა, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა უჯრედს ჰყავს გამოცდილი ხელმძღვანელი, საქმით დაინტერესებული ამხანაგი და ერთგული რემედასელი.

სამწუხაროდ ეს ასე არ ითქმის ზემოაღნიშნულ, 1-ლ სტამბის რემედასის უჯრედზე. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ აქ, კლუბის ერთ კუთხეში გაკეთებულია რაღაც კუთხის მსგავსი, სადაც პაწია თაროზე აწყვია ჟურნალ რემედასის შარშანდელი მხოლოდ 2, თუ 3 ნომერი, ორიოდე წიგნაკი და მეტი არაფერი. რომ ეს კუთხე სრულიად უყურადღებოა და მისთვის არავინ არ იცლის, სჩანს იქიდანაც, რომ ის 2 წლის განმავლობაში არ განახლებულა, აქ არ ჰკიდია არცერთი პლაკატი, თაროზე არ აწყვია რემედასის უკანასკნელი გამოცემები და არც არავითარი აღმზრდელობითი მუშაობას აქვს ადგილი. ეს ხდება იმ სტამბაში, სადაც იბეჭდება რემედასის ყველა გამოცემები და თვით ჟურნალ „რემედასიც“.

ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ ჰქონია ადგილობრივ ამხანაგებთან საუბარი ასეთი არანორმალური მოვლენის გამოსასწორებლად, მაგრამ მდგომარება დღემდის უცვლელია. ჩვენ ვფიქრობთ ასე გაგრძელება და სინამდვილის მიჩქმალვა ყოვლად დაუშვებელია.

დღეს, როცა რემედასმა თვისი ორგანიზაცია—უჯრედებით მოჰფინა არა მარტო ჩვენი უდიდესი კავშირი, არამედ მთელი ქვეყნიერება, ცენტრში, სადაც ყოველგვა-

რი საშვალება არსებობს მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად მუშაობის ასე წარმოება ეს უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალს.

დაუყონებლივ განახლებული უნდა იქნეს კუთხე რემედასის გამოცემებით და დაწყებული უნდა იქნეს ალმზრდელობითი მუშაობა.

არ კმარა მარტო საწევრო ანარიცხების აკრება და ლიტერატურის გავრცელება, საჭიროა მეტი ენერგიისა და დაინტერესების გამოჩენა.

რემედასის ორგანიზაცია ჯეროვან სიმაღლეზე უნდა იქნეს დაყენებული, ამას მოითხოვს საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის საარსებო ინტერესები, რომელიც ებრძვის კაპიტალსა და მის კლასობრივ იუსტიციას.

უნდა განვამტკიცოთ საერთაშორისო რევოლიუციის წითელი ზურგი, მაგრამ ეს ოცნებათ დარჩება, თუ მუშათა მასების ინტერნაციონალურად აღზრდას ხელს არ შეუწყობთ.

ა — მია.

# როგორ ჩატარდა რემედასის კვირეული

(ზუგდიდის მაზრა).

რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტიდან სათანადო დირექტივების მიღებისთანავე, რემედასის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი შეუდგა კვირეულის ჩატარების წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას. ადგილობრივად დამუშავებულ იქნა კვირეულის ჩატარების გეგმა. გასულ წლის დეკემბრის 5-ს სამაზრკომის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოყოფილ იქნა მაზრის მასშტაბით კვირეულის ჩამტარებელი კომისია, რომელშიაც შევიდენ პარტიის აგიტპროპგანყოფილების გამგე, კომკავშირის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი და რემედასის პრეზიდიუმის წევრები.

კომისიაში არჩეულ იქნა სულ 9 კაცი. მათ შორის 2 ქალი. სამაზრო პრეზიდიუმმა სთხოვა ყველა ორგანოებს თავიანთი ხაზით ადგილებზე დაეგზავნათ სათანადო დირექტივები კვირეულის ჩატარებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, რამაც ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა ყველა ორგანოებში.

კვირეულის ჩატარებამ მაზრის მასშტაბით მასიური ხასიათი მიიღო, რომლის ჩატარებაში ჩაბმული იქნა ყველა ორგანიზაციები. სამაზრკომის მიერ დამუშავებული გეგმები გადაეგზავნა სათემო კომიტეტებს. კვირეულის ჩატარების დროს უმთავრესი ყურადღება ექცეოდა აგიტაცია-პროპაგანდას მშრომელ მასებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კვირეულის განმავლობაში ერთი-ორად გაიზარდა წევრთა რაოდენობა, განსაკუთრებით გლეხკაცობის ხარჯზე. კვირეულის განმავლობაში რემედასის კედლის გაზეთებში შუქდებოდა რემედასის ამოცანები. სამაზრკომის გეგმაში აღნიშნული იყო გამოწვევის ჩატარება კედლის გაზეთებისა და სპეციალური სიის საშუალებით.

უნდა აღინიშნოს რომ რემედასის კვირეულის ჩატარების დროს მაზრის მასშტაბით უპირველესი ადგილი დაიჭირა ხ ო ბ ი ს თემმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რემედასის სათემო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ ლ ი მ ე ნ ტ ი ბ ე ბ უ რ ი ა. მეორე ადგილი უნდა მიეკუთვნოს კორცხელის სათემო ორგანიზაციას, რომელმაც ერთი-ორად გაადიდა თავისი წევრთა შემადგენლობა.

ნაყოფიერად მუშაობდა კვირეულის განმავლობაში აგრეთვე ახალ-აბასთუმანის ხე-ტყის ქარხნის ორგანიზაცია, სადაც არ დარჩენილა არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელსაც არ შემოეტანოს თავისი წვლილი.

კვირეულის განმავლობაში რემედასის ორგანიზაციაში ნებაყოფლობით შემოიტანეს 3-3 მანეთი შემდეგმა ამხანაგებმა:



გლეხობა იღებს თავის წვლილს კაპიტალის პატიმართა დასახმარებლად.

1. ვ. შუბლაძემ, 2. ხვიტიამ, 3. ბ. გვიბანიმ, 4. ჯ. კვირკველიამ, 5. ლ. კოპაძემ, 6. ვ. ჩიქოვანმა, 7. ა. ჩხეტიამ, 8. ნ. ციმიტიამ, 9. ერ. ქართაიამ, 10. გ. ციმიტიამ, 11. ბ. ციმიტიამ, 12. მ. შუბლაძემ, 13. გ. ფანჯავიძემ, 14. ერ. ქალდანიმ, 15. ი. ფიფიამ, 16. ბ. ქალდანიმ, 17. ერ. ციმიტიამ, 18. მ. ხვინგიამ, 19. ი. მიქიაშვილმა, 20. ი. ქანთარიამ, 21. ბ. კვებალიანიმ, 22. ე. ჩაკვეტაძემ, 23. კ. ფიფიამ, 24. კ. ჯაჭკვიანიმ, 25. ლ. ჩიხლაძემ, 26. შ. ფაჩულიამ, 27. შ. ყურუამ, 28. ბ. ჩხოტუამ, 29. დ. მიქაძემ, 30. ა. გვათუამ, 31. ქ. ჭანტურიამ, 32. კ. კვირკველიამ, 33. ა. გვათუამ, 34. კ. ფიფიამ, 35. ა. შამუგიამ, 36. ი. ფიფიამ, 37. ი. ფიფიამ, 38. გ. ხაბეიშვილმა, 39. პ. ჭყონიამ, 40. ლ. ოდიშარიამ, 41. ვ. ყიფიანმა, 42. ა. თირქიამ, 43. ელ. გურგენიძემ, 44. ვ. შენგელიამ, 45. ა. გაბუნიამ, 46. ი. გოგიამ, 47. ლ. გასვიანმა, 48. კ. ბიჭიამ, 49. ლ. ხაბურზანიამ, 50. ა. ჩხოლარიამ, 51. გ. გელანტიამ, 52. კ. პიტანძემ, 53. ვ. იზორიამ, 54. ვ. მატუამ, 55. ა. კვარაცხელიამ, 56. ლ. გრიგოლაიამ, 57. რ. ხახუბიამ, 58. ი. ბუალიშვილმა, 59. კ. წურწუმიამ, 60. ა. წითლიძემ, 61. ი. დუდუჩავამ, 62 ვ. სორდიამ, 63. დ. ფარცვანიამ, 64. დ. კინკიამ, 65. ს. კარტოზიამ, 66. ა. აგრანოვმა, 67. ჯ. ნადარეიშვილმა, 68. ა. გურგენიძემ, 69. შ. კოდუამ, 70. გ. ბერულავამ, 71. ა. დგებუაძემ, 72. მ. ჯიქიამ, 73. გ. ვართაგავამ, 74. ლ. ტუსკიამ, 75. ი. ქირიამ, 76. თ. კვირკველიამ.

ორ-ორი მანეთი შემდეგმა ამხანაგებმა:

1. ვ. ჯაბუამ, 2. ხ. მაქაცარიამ, 3. ი. ჯინჯოლავამ, 4. ა. ლურწკაიამ, 5. გ. ჯგვიშიამ, 6. ელ. შენგელიამ, 7. ვ. ქაჯაიამ, 8. ვ. შურღაიამ, 9. ა. სვირავამ.

თითო მანეთი შემოიტანეს შემდეგმა ამხანაგებმა:

1. ა. ხომერიკმა, 2. რ. გახარიამ, 3. მ. ბიგვავამ, 4. ნაჭყეპიამ, 5. კ. მირცხულავამ, 6. გ. გაბუნიამ, 7. ს. ლატარიამ, 8. მ. კვიკვინიამ, 9. ი. კალანდიამ, 10. ი. ჭოხონელიძემ, 11. ტ. ჭითანავამ, 12. მ. ჯინჯოლავამ, 13. გ. ბუაძემ, 14. ა. შონიამ, 15. ტ. აბრამიამ, 16. მ. ტიბუამ. 17. ი. ბიგვავამ, 18. ნ. ბიგვავამ, 19. ძ. მეუნარგიამ, 20. ფ. მორგოშიამ, 21. ძ. ბურათაძემ, 22. ნ. ფარცვანიამ, 23. ი. ჯოჯუამ, 24. ფ. წურწუმიამ, 25. ჯ. ბუქნაძემ, 26. ჟ. ალასანიამ, 27. კ. მიქავამ, 28. ნ. შონიამ, 29. ბ. ნაჭყეპიამ, 30. ვ. მეუნარგიამ, 31. ს. ზარქუამ, 32. ი. გვაზავამ, 33. მ. ჩხეტიამ, 34. მ. კიტიამ, 35. ლ. კვიკვინიამ, 36. ა. ფირცხელავამ, 37. მ. ხასიამ, 38. ა. ბერულავამ, 39. ა. კიტიამ. 40. გ. ბულიამ, 41. ვ. ჯობავამ, 42. ი. ცხადაიამ, 43. ა. კოდუამ, 44. მ. ჯანჯღავამ, 54. ღ. ალანიამ, 46. ლ. აბაკელიამ, 47. დ. ქორიამ, 48. ა. შელიამ, 49. მ. ნადირაიამ, 50. ა. ჩიტაიამ, 51. ო. იონავამ, 52. ა. კუტალიამ, 53. ნ. სურგულაძემ, 54. ნ. ჯიბლაძემ, 55. ნ. ხაბურზანიამ, 56. ს. კეზუამ, 57. ა. ძესტარაშვილმა, 58. ტ. კოდუამ, 59. მ. ჩახაიამ, 60. ლ. კემლარიამ, 61. ი. ბარძემიშვილმა, 62. შ. ქაჩავამ, 63. ნ. მიმინოშვილმა, 64. ვ. გუნიამ, 65. თ. ჭიჭინაძემ, 63. თაბუკაშვილმა, 67. კ. ლასარიამ, 68. ერ. მოისწრაფეშვილმა, 69. ნ. ფახიამ, 70. ა. მურღულიამ, 71. გ. მირცხულავამ, 72. ი. ნადარიამ, 73. ე. ბარამიამ, 74. კ. ჯიქიამ, 75. ე. ლიფონავამ, 76. ა. სიმონიანმა.



ცის ტაძარი პეკინში, (ჩინეთი), რომლის მახლობლად ხდება ჩვეულებრივად წრევოლიუციონერბის სიკვდილით დასჯა.

ათ-ათი შაური შემოიტანეს შემდეგმა ამხანაგებმა:

1. ს. სასანიამ, 2. მ. ფულარიამ, 3. ვ. ერემაძემ, 4. ე. შურღაიამ, 5. ვ. რუსიამ, 6. ნ. ალექსანდრიამ, 7. გ. ნასარიამ.

მანეთნახევარი შემოიტანეს შემდეგმა ამხანაგებმა:

1. პ. სულუხიამ, 2. ს. დუნდუამ, 3. ა. თოლორაიამ, 4. ა. გულორდავამ, 5. გ. კუდავამ და 6. თ. ენუქიძემ.

**დ. ხურცილავა.**

# მუშაობა გამოცოცხლდა

(გორის მაზრა).

რემედასის ორგანიზაცია გორის მაზრაში, მისი დაარსების პირველ დღიდან აქტიურად და ენერგიულად მუშაობდა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1926-27 წლ. განმავლობაში ეს მუშაობა საგრძნობლად მინელდა, რაც უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ სამაზრო კომიტეტის შემადგენლობაში მოხვდენ სხვადასხვა სამუშაოებით დატვირთული ამხანაგები.

მუშაობის ხელახლა გამოცოცხლებისა და მკვიდრ ნიადაგზე დაყენების მიზნით რემედასის საქ. ც. კ. ხელმძღვანელობით 1928 წ. ჩამოყალიბებულ იქნა საინიციატივო

ბიურო ამხ. თ ა თ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს თავმჯდომარეობით, რასაც შედეგათ მოჰყვა მუშაობის ოდნავი გამოცოცხლება. საინიციატივო ბიურომ რემედასის ირგვლივ შემოიკრიბა 1495 წევრი. იმავე წლის ნოემბრის 4-ს მოწვეულ იქნა რემედასის სამაზრო კონფერენცია, სადაც არჩეულ იქმნა რემედასის სამაზრო კომიტეტი.

სამაზრო კომიტეტმა მუშაობა გააცხოველა. ორგანიზაციაში თვალსაჩინოთ გაიზარდა წევრთა შემადგენლობა, ხოლო იმ ადგილებში სადაც მუშაობა სრულიად ჩამქრალი იყო, გააძლიერა მშრომელ მასაში პოლიტიკურ აღმზრდელობითი მუშაობა და ამჟამად ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ რემედასი გორის მაზრაში თავის რიგებში ითვლის 4.000-მდე წევრს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რემედასის სამაზრო კომიტეტი მომავალში კიდევ უფრო გააძლიერებს რემედასის მოღვაწეობას მშრომელთა ფართე მასაში და ერთი-ორად გააძლიერებს, როგორც ამ უკანასკნელთა ინტერნაციონალურად აღზრდას, ისე საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად მატერიალურ ღონისძიების მოწესრიგებას.

ბ. ჟ.

## რემედასის კომიტეტის მუშაობა მოისუსტებს

(ქვალონი, ზუგდიდის მაზრა).

წელიწადზე მეტია, რაც ადგილობრივ ა. ლ. კ. კ. უჯრედთან ჩამოყალიბებულია რემედასის უჯრედიც. *) ჩვენ დარწმუნებული ვიყავით ის მუშაობას სათანადო დონეზე დააყენებდა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დღემდის აღნიშნული უჯრედი სრულ უმოქმედებას იჩენს.

მართალია აქა-იქ შეხვდებით თითო-ოროლა, რემედასის წევრებს, რომლებიც თან ატარებენ რემედასის წიგნაკებს, მაგრამ მათ შორის არ იკრიბება საწევრო ანარიცხები და რაც მთავარია, არ სწარმოებს არავითარი აღმზრდელობითი მუშაობა.

ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გლეხობის ფართე მასამ დღემდის არ იცის რემედასის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა და მისი სადღეისო ამოცანები. საჭიროა, როგორც თემკომმა, ისე რემედასის სამაზრკომმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ხელი შეუწყონ რემედასის მუშაობის გაძლიერებას თემის მასშტაბით.

**კონდრატე ახალაია.**



მინდორი, საიდანაც მოეწყო თავდასხმა ჩინეთში მყოფ ს. ს. რ. კ. წარმომადგენლობაზე. ეხლა ამ მხრ-თ. დიპკორპუსის მიერ აშენებულია ქვის გალავანი.

*) ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ რემედასის ადგილობრივ ყველა ორგანიზაციებს, რომ უჯრედის უჯრედებთან ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა ყ ო ვ ლ ა დ დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა.

უჯრედები ჩამოყალიბებულნი უნდა იქნენ: ქოხ-სამკითხველოებთან, კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, კოლ. მეურნეობებთან, გლეხკომებთან, სკოლებთან და სხვ. რ ე დ.

# ოფიციალური განყოფილება

ცირკულიარი № 42.

## რემედასის საქართველოს ყველა ორგანიზაციებს.

პარიზის კომუნის მომავალი 58 წლის თავი, რომელიც წარმოადგენს რემედასის ტრადიციულ დღეს, წელს ხვდება თეთრი-ტერორისა და ფაშიზმის ზრდასთან ერთად, როცა ერთის მხრით მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებს საერთაშორისო ბურჟუაზია, ხოლო მეორეს-მხრით-კი სწარმოებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის გაცხოველებული პროცესი.

რემედასის დღე მიმდინარე წელს ხვდება აგრეთვე მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის 10 წლის თავზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით რემედასის დაარსებაში, ისე მისი შემდგომი მოღვაწეობის განვითარებაში საერთაშორისო მაშტაბით.

რემედასის ამ დიდმნიშვნელოვან კამპანიის ძირითადი შინაარსი უნდა გამოიხატოს მშრომელთა ფართე მასების წინაშე შემდეგი მომენტების გაშუქებით.

ა) პარიზის კომუნის დღის ისტორიული მნიშვნელობა, როგორც პროლეტარული დიქტატურის პირველი მაგალითისა, კომუნის შეცდომებისა და გაკვეთილების ახსნა-განმარტება პარიზის კომუნის დღისა და რემედასის იდეების ერთი-მეორესთან დაკავშირებით.

ბ) თანამედროვე კლასთა შორის ბრძოლა დ• ბურჟუაზიულ ქვეყნების რევოლიუციონურ პროლეტარიატის მოძრაობანი. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური ომის სამზადისი და შეიარაღ ბული ბლოკის შექმნა.

გ) კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნების ბურჟუაზიისათვის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ უმთავრეს საბრძოლველ იარაღს წარმოადგენს თეთრი ტერორი, ფაშიზმი და კლასობრივი იუსტიცია.

დ) კომუნისტურ ინტერნაციონალის როლი, როგორც საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელისა.

ე) უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა, მომავალ 21 მარტთან ე. ი. მისი წარმოშობის 10 წლის თავთან დაკავშირებით და ფაშისტური უნგრეთის თანამედროვე მდგომარეობა (რაკოშის მიერ სიმშილობის გამოცხადება და სხვ.).

ვ) რემედასის მოღვაწეობის შედეგები სოციალისტურ საბ. რეს. კავ. და საზღვარ გარეთ, რემედასის უდიდესი მნიშვნელობა მასების ინტერნაციონალურად გათვითცნობიერებაში, მათი აქტივობის გაძლიერება და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში აქტიურად ჩაბმა.

ამ შინაარსის მიხედვით რემედასის 18 მარტის მორიგი კამპანიის ჩატარების დროს წამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი პრაქტიკული ამოცანები:

1. რემედასის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება-გაღრმავება (განსაკუთრებით სოფლად) და პროლეტარიატის ინტერნაციონალური ინტერესების თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება.

2. რემედასის რიგების გაძლიერება მუშების, მოჯამაგირეთა, გლეხთა საშუალო ფენებისა და მოსახლეობის ჩამოუყალიბებელ ფენების ხარჯზე შემდეგი ლოზუნგით: პარიზის კომუნის დღეს ყველანი რემედასის რიგებისაკენ“. „პარიზის კომუნის დღეს ერთი-ორად გავაძლიეროდ რემედასის რიგები“.

3. საშეფო მუშაობის გაძლიერება, როგორც მშრომელ მასების ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ფორმა, შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: “რემედასი ინტერნაციონალურად აღზრდის პრაქტიკული სკოლაა“: — „კაპიტალისტურ საპყრობილეებში მოქცეული რევოლიუციონერები გავამხნევოთ და გაუწოდოთ მათ ძმური დახმარების ხელი“.

4 რემედასის პრაქტიკულ მუშაობაში, პროფესიონალურ, კომკავშირულ მშრომელ და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმა.

წამოყენებულ ამოცანების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ჩატარებული იქნეს შემდეგი:

1. აღნიშნულ ამოცანების მიხედვით შედგენილ იქნეს პარიზის კომუნის დღის ჩატარების გეგმა, ძირითად ორგანიზაციებში ამ კამპანიის ჩატარებისადმი ჯეროვანი ყურადღების მიქცევით.

2. ადგილებზე კავშირი უნდა იქნეს დაჭერილი, როგორც პარტ-კომკავშირული, პროფესიონალურ ორგანიზაციებთან, ისე ქალთა გაჰყოფილებებთან და ადგილობრივ პრესასთან მათთან მასიურ სააგიტაციო ღონისძიებათა შეთანხმების მიზნით და პრაქტიკულ დახმარების მიღებით აღნიშნულ კომპანიის ჩატარებაში. (ამ ორგანიზაციების მიერ ადგილებს მითითებანი დაეგზავნება ცალკე).

3. ჩატარებულ იქნეს აქტივის თათბირი ქალაქის, რაიონის და თემის მასშტაბით, რომელიც მიძღვნილი უნდა იქნეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, კლუბებში, წითელ არმიის ყაზარმებში, ქოხ-სამკითხველოებში, პიონერთა კოლექტივებსა და სკოლებში რემედასის დღის ჩატარების მეთოდებმსა და ფორმებისადმი.

4. შემოღებულ იქნეს (იქ სადაც შესაძლებელია) კომკავშირთან ერთად ინტერნაციონალური საღამოების ჩატარება, იმ ქვეყნების რევოლიუციონურ მოძრაობის გაშუქებით, რომელშიაც არსებობს საშეფო ციხეები.

5. ყველა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებსა და წითელ არმიელთა ყაზარმებში ჩატარებული იქნეს პარიზის კომუნის დღისადმი მიძღვნილი საღამოები, რისთვისაც შერჩეული იქნეს სპეციალური პროგრამა.

6. კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების მიერ ამ დღისათვის შერჩეულ იქნეს სათანადო ლიტერატურა მათი გამოფენის მოწყობით.

7. რემედასის არსებული კუთხეები განახლებულ იქნეს სათანადო მასალებით როგორიცაა მაგ. ჟურნალ-გაზეთებიდან ამონაჭერი სურათები, მასალებით. ახალი ლოზუნგებით და ლიტერატურით, რომელიც მიძღვნილი იქნება პარიზის კომუნისადმი.

8. პოლიტ-განათლების ორგანოების საშვალებით კავშირი იქნეს გაბმული ქოხ-სამკითხველოების ხელმძღვანელებთან და მიეცეს მათ პარიზის კომუნის-რემედასის დღის აღსანიშნავათ ქოხ-სამკითხველოებში კამპანიის ჩატარების ფორმები.

9. მიღებულ იქნას ზომები პოლიტ.-განათლების და კინომრეწველობის ადგილობრივ განყოფილებებიდან კინო-ფილმების მისაღებად, ქალაქად კლუბებში და სოფლად მოძრავ კინოებში შესაფერ კინო-სურათების საჩვენებლად.

10. შემოღებულ იქნეს მახლობელ სოფლებში რემედასის აგიტატორების გამგზავრება 18 მარტისადმი მიძღვნილი საღამოებში მონაწილეობის მისაღებად; ამავე დროს მაქსიმალურად გამოყენებულ იქნეს ადგილებზე წამსვლელი პარტიული, კომკავშირული, პროფესიონალური, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაკები.

11. 18 მარტის დღისათვის საფუძველი ჩაეყაროს ქალაქის უჯრედების სოფლის უჯრედებთან მიმაგრებას, რათა უკანასკნელებმა ყოველმხრით ხელი შეუწყოს რემედასის დღის ჩატარებისათვის წინისწარ მოსამზადებელ მუშაობაში ადგილობრივ საშეფო საზ-თან შეთანხმებით,

12. ფართედ იქნეს გამოყენებული ადგილობრივი კედლის გაზეთები, როგორც მოსამზადებელ მუშაობის, ისე თვით კამპანიის ჩატარებაში.

13. ადგილებზე წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა დაწყებული უნდა იქნეს არა უგვიანეს თებერვლის თვის ბოლო რიცხვებისა.

14. მუშაობის მსვლელობა გაშუქებულ უნდა იქნეს პარტიულ, საბჭოთა და რემედასის პრესაში.

15. რემედასის კომიტეტებთან გამოყოფილ იქნეს სპეციალური კომისია კამპანიის ჩასატარებლად პარტიულ, კომკავშირულ პროფესიონალურ ორგანიზაციების, ქალთა განყოფილებების, პოლიტ-განათლებისა და სხ. წარმომადგენელის შემადგენლობით, რომლებსაც უნდა დაევალოს კამპანიის ჩასატარებელი გეგმის შედგენა და კამპანიის ჩატარეის ხელმძღვანელობა.

16. კამპანიის ჩატარების შედეგები გადმოგზავნილი უნდა იქნეს რემედასის საქ. ც. კ. არა უგვიანეს მიმდინარე წლის მარტის 30-სა.

შენიშვნა: პარიზის კომუნის დღისათვის გამოცემული იქნება წიგნაკი, რომელიც დაეგზავნება ადგილებს.

რემედასის საქ. ც. კ.
პ/მგ. მდივანი: ა. ქოიავა
რემედასის საქ. ც.კ. სააგ. საპრ. განყ.
გამგე: მ. ცქვიტინიძე

1929 წელი თებერვლის 20.

რემედასის ს. ც. კ. გამომცემლობა.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ. № 91. მთავლიტი № 318 შეკვ. № 966 ტირაჟი 5000.

# პოლიტ-პატიმართა წერილები

## სიმშილობა კოვნოს ციხეში.

ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო ვორონსკის კონც-ბანაკის საპატიმრო პონევეჟსკში დაწყებული სიმშილობა, რომელშიაც მონაწილეობდა 100 მეტი პოლიტ-პატიმარი, რომ ლიტვაში, კოვნოს ცენტრალურ საპატიმროში, იფეთქა აჯანყებამ ფაშისტური საპატიმროს რეჟიმის წინააღმდეგ.

ახალ სიმშილობას, რომელიც დაიწყო იანვრის 25, წინ უძღოდა კიდევ საყურადღებო ამბები. კოვნოს ერთ-ერთ მემარცხენე გაზეთში დიდიხნის განმავლობაში იბეჭდებოდა რომანი, რომელშიაც გამოგონებული სახელების საშუალებით დაწვრილებით აწერილი იყო ადგილობრივი საპატიმროებისა და ადმინისტრაციის საქმენი საგმირონი. კარგა ხანი გავიდა, სანამ გაბრიყვებული ხელისუფლება გაიგებდა რასმე და გაერკვეოდა მდგომარეობაში. ცენზურა საკმაოდ შეახურეს, რომანის ბეჭვდა შეაჩერეს ხოლო იმ პოლიტ-პატიმრებს, რომლებმაც ვითომ ფემირს გადასცეს რომანისათვის საპატიმროს მასალები, საგრძნობლად მკაცრი რეჟიმი დაუწესეს. ღამღამობით გაახშირეს ჩხრეკა, ლამფები სულ მაღლა, ჭერზე აიტანეს, რათა პატიმრებს არ მისცემოდათ მეცადინეობის საშუალება.

პოლიტ-პატიმრებმა წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებები, როგორცაა მაგალითად: 1. ელექტრონის ლამფების ძირს ჩამოწევა, 2. ამხ. გ...ს დაბრუნება, რომელიც გადაგზავნილი იყო რევოლიუციონურ დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლის გამო. 3. საკნების განტვირთვა, პატიმრების უფრო თავისუფალ სადგომებში მოთავსებით, 4. მომავალში სიმაგრეში პატიმრების გადაგზავნის მოსპობა და 5. საკნებიდან პროვოკატორების გაყვანა.



ცემა-წამების შემდეგ ბნელ საკანში—მარტოდ-მარტო

სიმშილობასთან დაკავშირებით კოვნოს წითელი დახმარების კომიტეტმა გამოსცა მოწოდება, რომელშიაც ის მოუწოდებდა ლიტვის მშრომელთ პროტესტები გამოუცხადონ ციხის არსებულ რეჟიმს და მხარი დაუჭირონ პოლიტიკურ პატიმრებს დაწყებულ ბრძოლის წარმოებაში.

**რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის სალაროში საოლქო და სამაზრო კომიტეტებიდან მიმდ. წლის იანვრის თვეში შემოსული თანხები.**

| № № | დასახელება მაზრების | საწევრო და შემოსავლელი | | ნებაყოფლობითი და შემოწირულ. | | ლატარია და საღამოები | | საზამთრო კამპანია | | ს უ ლ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| 1 | ტფილისის კომიტეტი . . | 953 | 82 | 374 | 32 | 969 | 23 | 5.480 | 11 | 7.783 | 48 |
| 2 | ქუთაისის და სამტ. კომ. . | — | — | 14 | 19 | — | — | 6.677 | 82 | 6.692 | 01 |
| 3 | აჭარისტანის კომ. . . . | 399 | 96 | 18 | 52 | 150 | — | 1.962 | 38 | 2.030 | 86 |
| 4 | შორაპნის კომ. . . . . | — | — | — | — | — | — | 1.300 | — | 1.300 | — |
| 5 | კახეთის კომ. . . . . . | — | — | — | — | — | — | 1.000 | — | 1.000 | — |
| 6 | ფოთის კომ. . . . . . | — | — | — | — | — | — | 806 | — | 806 | — |
| 7 | გორის კომ. . . . . . | 375 | — | — | — | 240 | — | — | — | 615 | — |
| 8 | სამხრეთ-ოსეთის კომ. . . | — | — | — | — | — | — | 330 | 33 | 330 | 33 |
| 9 | ზუგდიდის კომ. . . . . | 100 | — | — | — | — | — | — | — | 100 | — |
| 10 | რაჭა-ლეჩხუმის კომ. . . | — | — | — | — | — | — | 59 | — | 59 | — |
| 11 | ახალქალაქის კომ. . . . | — | — | — | — | — | — | 20 | — | 20 | — |
| | | 1.828 | 78 | 407 | 03 | 1.359 | 23 | 17.141 | 64 | 20.736 | 68 |

**შენიშვნა:** მიმდ./წ. იანვარში ცეკას სალაროში თანხები არ შემოსულა 1) აფხაზეთის რემედასის საოლქო კომიტ., 2) სენაკის, 3) ბორჩალოს, 4) ახალციხის და 5) ოზურგეთის სამაზრკომებიდან.

რემედასის საქ. ცეკას ბუხჰალტერია.

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ. ელსმ. № 17—42

# მიიღება ხელის მოწერა

# ჟურნალ რემედას-ზე

1929 წლის განმავლობაში

# ჟურნალ რემედას გამოვა 12 ნომერი

**ხელის მოწ. პირობები:**

| | |
|---|---|
| 1 თვით | 20 კ. |
| 3 თვით | 60 „ |
| 6 თვით | 1 მ. 15 „ |
| 9 თვით | 1 „ 70 „ |
| 1 წლით | 2 „ 20 „ |